განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღები
28-29 ოქტომბერი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
17 დეკემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	დონე 8
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი/Doctor of Political Science
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები; 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის პროექტი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის განხორციელება იგეგმება ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოციალურ მეცნიერებათა სკოლის (SSS) მიერ.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 6 სემესტრს, საიდანაც სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო სამეცნიერო კომპონენტი გულისხმობს პროსპექტუსის, კოლოქვიუმისა და საბოლოოდ, სადისერტაციო ნაშრომის დაცვას. ორი სამეცნიერო პუბლიკაციის ვალდებულებასთან ერთად, პროსპექტუსის და კოლოქვიუმის დაცვა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობაა.

პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერების ან მომიჯნავე დარგებში. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) და გასაუბრება. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ დასრულებული აქვს ინგლისურენოვანი სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა ან თუ წარმოადგენს მოთხოვნილი დონის შესაბამის სერთიფიკატს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს როგორც მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას და დარგის განვითარების ხელშეწყობას ახალი კვლევითი/ანალიტიკური მეთოდების/მიდგომების გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, ასევე კვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და ისეთი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც ფლობენ სამეცნიერო პროდუქტის მართვისა და კომერციალიზაციის უნარებს.

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მრავალფეროვან მეთოდოლოგიურ სასწავლო კურსებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია

მაღალკვალიფიციური პერსონალი აკადემიური და პრაქტიკული საქმიანობის ხანგრძლივი (მათ შორის, საერთაშორისო) გამოცდილებით.

პროგრამა მემკვიდრეა სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის და კონცეპტუალური გადააზრებისა და სადისერტაციო ნაშრომის პროცედურების განსაზღვრის პროცესში გამოყენებულია პარტნიორი ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებას (ჯორჯიის უნივერსიტეტი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, ტროის უნივერსიტეტი).

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა ონლაინ რეჟიმში ამა წლის 28-29 ოქტომბერს. დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, ინტერვიუები განხორციელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უსდ კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის დოქტორანტების და ახალი პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებთან, მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა ზოგადი ინფრასტრუქტურისა და საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერება, მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის დისერტაციების გაცნობა. ონლაინ ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.5. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

2.3.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „კვლევა და სამეცნიერო წერა“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“ გახდეს პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმზე მორგებული.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „სადოქტორო სემინარი I“ სილაბუსების შედეგების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ნაწილების ფორმულირება გახდეს სწავლების დონისა და თავად აღნიშნული სილაბუსების შინაარსების შესატყვისი.

რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში საკონტაქტო საათების რაოდენობა კომპონენტების მიხედვით და სასწავლო კვირეების რაოდენობა იყოს მკაფიო, დათვლადი და უსდ რეგულაციებთან შესაბამისი.

2.5.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „სავალდებულო სადოქტორო სემინარი I“ და „არჩევითი სადოქტორო სემინარი II“ დაზუსტდეს სწავლება-სწავლის მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევადობისა და გაზომვადობისთვის.

რეკომენდებულია, სილაბუსებში აქცენტი გაკეთდეს სადოქტორო საფეხურის მოთხვონების შესაბამის და რეფლექსიის, კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ისეთ სწავლა-სწავლების მეთოდებზე, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიშის ტექნიკა და სხვ.

2.6.

რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს უშუალოდ სემინარზე დასწრების კომპონენტი.

5.1.

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს ფორმალური მექანიზმების არსებობით და აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2.

სასურველია, პროგრამის შედეგების ფორმულირება გახდეს მკაფიო სწავლების დონის შესაბამისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

2.2.

სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში 8 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები“ გაიყოს ორ ნაწილად და პროგრამის სტრუქტურას დაემატოს ერთი სასწავლო კურსი.

სასურველია, პროგრამის კურიკულუმში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამის სასწავლო კომპონენტი განისაზღვროს 60 კრედიტით.

2.6.

სასურველია, უნივერსიტეტმა შეამსუბუქოს პოლიტიკა აუდიტორიულ მეცადინეობებზე სტუდენტთა სავალდებულო დასწრებასთან დაკავშირებით.

4.1.

სადოქტორო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების კონტინგენტიდან გამომდინარე, **სასურველია** აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში ამ გარემოების გათვალისწინება, რათა მოხდეს დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარების ადეკვატური უზრუნველყოფა.

4.2.

სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში

4.4.

სასურველია, შემდეგი აკადემიური წლების ბიუჯეტის დაგეგმვის დროს დაზუსტდეს მისაღები სტუდენტების რაოდენობის რეალურ მონაცემებზე დაფუძნებით.

5.1.

სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსებისა და სილაბუსის სხვადასხვა კომპონენტების ფორმირების საკითხებზე, მათ შორის კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდების მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფს **საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნია** დოქტორანტისთვის მიცემული შესაძლებლობა პროგრამის არჩევითი კომპონენტის 10 კრედიტი დააგროვოს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარგთან დაკავშირებული სადოქტორო კურსის/კურსების გავლით.

ექსპერტთა ჯგუფს **საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნია** სასწავლო კურსი „მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება“, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის მეცნიერების, კვლევებისა და განვითარების მართვისა და პოლიტიკის ძირითადი პრინციპების, მეცნიერების მართვისა და შეფასებების ინსტრუმენტების, საგრანტო დაფინანსებისა და კვლევითი პროექტების მომზადების სპეციფიკის გაცნობას და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფს **საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნია,** რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს კვლევის შედეგები გამოაქვეყნოს ინგლისურენოვან რეფერირებად სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალში „Journal of Politics and Democratization“, რომელიც შეიქმნა შეერთებული შტატების ტროის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი სარედაქციო კოლეგიის პირობებში.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა ახალი

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი არგუმენტები და აკრედიტაციის ჯგუფის წევრების საერთო მოსაზრებით, წარმოდგენილ დასკვნაში მოხდა უსდ არგუმენტებიდან მხოლოდ ერთის გათვალისწინება. კერძოდ, რეკომენდაციამ პროგრამის სტრუქტურაში 8 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსის „პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები“ ორ ნაწილად გაყოფის შესახებ მიიღო რჩევის სახე. აღნიშნული სილაბუსი წარმოადგენს სფეროს მთავარი საკითხებისა და მომიჯნავე ქვედარგების საკითხების ერთგვარ კომპლექსურ ნაზავს, რაც აკრედიტაციის ჯგუფის წევრების მოსაზრებით, ტოვებს სხვადასხვა საკითხების ხელოვნურად ერთ სილაბუსში გაერთიანების მცდელობის შთაბეჭდილებას. გარდა აღნიშნულისა, მსგავსი მოცულობის სხვადასხვა თემების ერთ სემესტრში შესწავლა სავარაუდოდ არ იქნება კომფორტული თავად სტუდენტებისთვის. აკრედიტაციის ჯგუფი ითვალისწინებს რა, რომ პროგრამა ახალია და მისი ამოქმედების შემდეგ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით უკეთ გამოიკვეთება აღნიშნული სასწავლო კურსის ეფექტურობა თუ მისი ორ სასწავლო კურსად ჩამოყალიბების აუცილებლობა, აღნიშნულ მოსაზრებას აძლევს რჩევის ხასიათს.

გარდა აღნიშნულისა, უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია წარმოდგენილია კიდევ 4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით (2.3.; 2.5.; 2.6.; 5.1. ქვესტანდარტები). აკრედიტაციის ჯგუფის წევრების მოსაზრებით, აღნიშნული რეკომენდაციები რჩება უცვლელად. რეკომენდაციების გაცემასთან დაკავშირებული არგუმენტები მოცემულია დასკვნის აღწერილობით ნაწილებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს როგორც მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას და დარგის განვითარების ხელშეწყობას ახალი კვლევითი/ანალიტიკური მეთოდების/მიდგომების გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, ასევე კვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და ისეთი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც ფლობენ სამეცნიერო პროდუქტის მართვისა და კომერციალიზაციის უნარებს. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ მისიასთან და უსდ სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომელშიც აღნიშნულია კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტულობა. პროგრამის მიზნების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს და ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. კერძოდ, ხაზგასმულია კვლევის ჩატარება რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე, „კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც ფლობენ სამეცნიერო პროდუქტის მართვისა და კომერციალიზაციის უნარს“, ინტერდისციპლინური კვლევები და სხვ. პროგრამის მიზნები რეალისტურად არის შეფასებული გარე შემფასებლის დასკვნაშიც. კერძოდ, აღნიშნულია, რომ პროგრამის კონცეფცია, სტრუქტურა, მისი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • თვითშეფასების დოკუმენტი • უსდ მისია • საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლებთან შეხვედრების ანალიზი
- Career Tracking Survey of Doctorate Holders (2017)
- EUA-CDE Thematic Peer Group Report (2020)
- გარე ექსპერტის დასკვნა
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 3 კომპონენტით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში ასახულია როგორც დარგის სიღრმისეული ცოდნა და კვლევისთვის აუცილებელი მეთოდოლოგიის დაუფლება, ასევე კვლევების კომერციალიზაციის შესაძლებლობების გაცნობიერება. შედეგების უნარების ნაწილში აქცენტი კეთდება როგორც ანალიზისა და კვლევის უნარებზე, ასევე დოქტორანტისთვის სწავლების უნარის გამომუშავებასა და სამეცნიერო პროექტების შექმნა-განხორციელების უნარებზე. პროგრამის შედეგების პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში ასახულია როგორც ღირებულებათა პატივისცემა, ასევე კვლევითი პროექტების დამოუკიდებელად მართვა და კომერციალიზაცია.

სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასევე შეესაბამება სფეროს სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

უსდ-ს აქვს სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი

მეთოდები. შედეგების გაზომვადობისთვის უსდ-ს განსაზღვრული აქვს სხვადასხვა დონეები (Introduction, Development, Mastering, Practice) და ნიშნულები. ნიშნულების შეფასება მოხდება სადისერტაციო ნაშრომით (სტუდენტების მიერ მიღწეული საშუალო შედეგების მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი ფასდება რვა კომპონენტით.

კურიკულუმის თითოეული სასწავლო კურსის შესაბამისობა პროგრამის შედეგებთან წარმოდგენილია ცხრილის სახით (სწავლის შედეგების შეფასება).

პროგრამის შედეგებისა და სასწავლო კურსების შედეგების ნაწილი შესაბამისობაშია. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია პროგრამის სტრუქტურისა და სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი) დასტურდება თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესის აღწერილობით და თვითშეფასების ჯგუფთან განხორციელებული ინტერვიუებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, სასურველია უფრო ნათლად მოხდეს პროგრამის შედეგების ფორმულირება, დონის შესაბამისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. როგორც პროგრამის სტრუქტურა, ასევე სასწავლო კურსები, დოქორანტისთვის შეთავაზებული მრავალფეროვანი საკვლევი სფეროები და თემები (42 ერთეული), რომელთა ფარგლებშიც სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია პროგრამის აკადემიურ პერსონალს, დისერტაციის დაცვის პროცედურები და უსდ ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება დონის შესაბამისი სწავლის შედეგების ყველა ასპექტზე გასვლის წინაპირობაა.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი სფეროების მრავალფეროვნება და ინტერდისციპლინური ხასიათი პროგრამის განსაკუთრებულ მახასიათებლად მიაჩნია პროგრამის გარე ექსპერტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- თვითშეფასების დოკუმენტი
- შრომის ბაზრის კვლევა
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკები
- სწავლის შედეგების შეფასება
- სოციალური მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული შეხვედრის ანგარიში
- ჯიპას სოციალური მეცნიერების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გამოკითხვის ანგარიში
- დამსაქმებლებთან შეხვედრის კითხვარი
- პროგრამის გარე შეფასება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის შედეგების ფორმულირება გახდეს მკაფიო სწავლების დონის შესაბამისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება ექნება მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერების ან მომიჯნავე დარგებში. დარგობრივი შეზღუდვა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ექსპერტთა ჯგუფს დადებით ტენდენციად მიაჩნია.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ინგლისურ ენაში გამოცდის (B2 დონე) და გასაუბრების საფუძველზე. ინგლისური ენის გამოცდიდან დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ დასრულებული ინგლისურენოვანი სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში.

დოქტორანტობის მსურველთან გასაუბრებას ჩაიბარევს დარგობრივი კომისია. დოქტორანტობის მსურველმა მოთხოვნილ საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტის განაცხადი (მინიმუმ 1000 სიტყვა, შესასწავლი საკითხის სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა, სავარაუდო კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო, საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები). გასაუბრების შეფასების ფურცელში გათვალისწინებული იქნება სხვადსხვა კომპონენტები. დოქტორანტობის მსურველს უსდ აძლევს საშუალებას გაასაჩივროს გასაუბრების შედეგები.

აღნიშნული პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია. ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისთვის - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოცემულია პროგრამის კურიკულუმში, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი და ინგლისური ენის ტესტის ნიმუში ასევე განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღსანიშნავია, რომ წინაპირობების შემუშავების პროცესში უსდ-მ მოახდინა როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების წინაპირობების ანალიზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო პროგრამების დებულება
- ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სადოქტორო პროგამების ანალიზი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით
- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების გამოცდილების ანალიზი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gipa.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის წესში. კერძოდ, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო 60 ECTS-ისგან (ერთი კრედიტი წარმოადგენს 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს) და კვლევითი კომპონენტებისგან. პროგრამის აკადემიური ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 წელს, იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტი ასრულებს სასწავლო კომპონენტს აღნიშნულ პერიოდში, უფლება აქვს კვლევის დასასრულებლად დამატებით მოითხოვოს არაუმეტეს 4 სემესტრი, კვლევის დასასრულებლად. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სავალდებულო კურსებს (50 ECTS), არჩევით სასწავლო კურსებს (10 ECTS) და სამეცნიერო კომპონენტს. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილი შედგება შემდეგი სასწავლო კურსებისგან: კვლევა და სამეცნიერო წერა; თვისებრივი კვლევის მეთოდები; რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი; სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები; პროფესორის ასისტენტობა; სადოქტორო სემინარი I; მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება; პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები. სამეცნიერო კომპონენტში მოაზრებულია პროსპექტუსი, კოლოქვიუმი და სადოქტორო დისერტაცია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობა პროსპექტუსისა და კოლოქვიუმის გარდა არანაკლებ ორ საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ არჩევითი 10 კრედიტის დაგროვება დოქტორანტს შეუძლია სადოქტორო სემინარი 2-ის არჩევით ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში დარგთან დაკავშირებული სადოქტორო კურსის/ების გავლით, რაც ექსპერტთა ჯგუფს საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნია.

პროგრამის სტრუქტურაში საგნების თანმიმდევრულობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებსა და გამოწვევებს. მეთოდოლოგიური სასწავლო კურსების მრავალფეროვნება და მეცნიერების მენეჯმენტის სასწავლო კურსი პროგრამის სტრუქტურას დადებითი მახასიათებელია. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების წინაპირობები ადეკვატურია. კერძოდ, სასწავლო კურსი „კვლევა და სამეცნიერო წერა“ განსაზღვრულია სასწავლო კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“ წინაპირობად; „სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები“ წინაპირობას ქმნის პროფესორის ასისტენტობისთვის.

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვს სხვადასხვა კრედიტები (5,7,8,10). სავალდებულო სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები“ პროგრამის ერთადერთი დარგობრივი საგანია (8 ECTS). თავისი შინაარსით სასწავლო კურსი კომპლექსურია და შედგება სფეროს სხვადასხვა ქვედარგებისა და მომიჯნავე დარგების სხვადასხვა საკითხებისგან, რაც შესაძლოა სხვადასხვა საკითხების ხელოვნურად დაკავშირების შთაბეჭდილებას ტოვებდეს. სააკრედიტაციო ჯგუფის დაკვირვებით, აღნიშნული სასწავლო კურსის საფუძველზე 2 დამოუკიდებელი სასწავლო კურსის ჩამოყალიბება და საკითხების თემატური გამიჯვნა უკეთ უზრუნველყოფს დარგობრივი კომპეტენციის დაუფლებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს პროგრამის სტრუქტურაში სხვა ცვლილების საჭიროებას, რადგან კრედიტების ჯამური რაოდენობა შესაძლებელია დარჩეს უცვლელი. შესაბამისად, სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში 8 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები“ გაიყოს ორ ნაწილად და პროგრამის სტრუქტურას დაემატოს ერთი სასწავლო კურსი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის კურიკულუმში (პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა N2) სასწავლო კომპონენტი განსაზღვრულია 55 კრედიტით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ონლაინ ინტერვიუების შედეგების გათვალისწინებით, სააკრედიტაციო ჯგუფი აღნიშნულ ხარვეზს ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნევს. სასურველია, პროგრამის კურიკულუმში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამის სასწავლო კომპონენტი განისაზღვროს 60 კრედიტით.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებლები, გარე ექსპერტი) დასტურდება უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- კურიკულუმის რუკა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- სადოქტორო პროგრამების დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gipa.ge
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში 8 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები“ გაიყოს ორ ნაწილად და პროგრამის სტრუქტურას დაემატოს ერთი სასწავლო კურსი.
- სასურველია, პროგრამის კურიკულუმში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამის სასწავლო კომპონენტი განისაზღვროს 60 კრედიტით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ექსპერტთა ჯგუფს საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნია დოქტორანტისთვის მიცემული შესაძლებლობა პროგრამის არჩევითი კომპონენტის 10 კრედიტი დააგროვოს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარგთან დაკავშირებული სადოქტორო კურსის/კურსების გავლით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ნაწილი სტუდენტს სთავაზობს კვლევაზე ორიენტირებულ მრავალფეროვან მეთოდოლოგიურ სასწავლო კურსებს („კვლევა და სამეცნიერო წერა“; „თვისებრივი კვლევის მეთოდები“; „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“) რომლებიც უზრუნველყოფს დონის შესაბამისი კვლევითი უნარების გამომუშავებას. სასწავლო კურსები „სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები“ და „პროფესორის ასისტენტობა“ უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებსა და შედეგებში

ხაზგასმულ სწავლების უნარებსა და ავტონომიურობას. სასწავლო კურსი „მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება“ დოქტორანტს აძლევს აქტუალურ პრაქტიკულ უნარს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ სილაბუსში ფინალურ შეფასებით კომპონენტად მოაზრებულია რეალური პროექტის შედგენა და ფონდში წარდგენა. სავალდებულო „სადოქტორო სემინარი I“ და არჩევითი „სადოქტორო სემინარი II“ მოიაზრებს დოქტორანტის მიერ მცირე კვლევის ჩატარებას არა სადისერტაციო თემაზე, რაც დოქტორანტს მისცემს როგორც პოლიტიკის მეცნიერების ქვედარგებისა თუ მომიჯნავე დარგების შესახებ ცოდნას, ასევე კვლევითი უნარების დახვეწის საშუალებას.

პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი წარმოდგენილია სამი კომპონენტით (პროსპექტუსი, კოლოქვიუმი, სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა). სადისერტაციო ნაშრომის მომზადების და დაცვის სტანდარტები და პროცედურები დეტალურად არის გაწერილი სკოლის დოქტურანტურის დებულებაში.

სადოქტორო პროგრამაში დარგობრივი საგანი წარმოდგენილია ერთი სასწავლო კურსით („პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები“). სილაბუსის შინაარსი კომპლექსურია და მოიცავს პოლიტიკური ფილოსოფიის/პოლიტიკური აზრის ისტორიის, პოლიტიკის თეორიისა და პოლიტიკური სოციოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხებს, რაც მიზნად ისახავს პოლიტიკის მეცნიერების, მისი ქვედარგებისა და მომიჯნავე დარგების დარგობრივი ცოდნის გადაცემას პირველად და მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით. სააკრედიტაციო ჯგუფის დაკვირვებით, სილაბუსის შინაარსში სხვადასხვა საკითხების ერთმანეთთან დაკავშირება ტოვებს სხვადასხვა საკითხების ერთმანეთთან ხელოვნურად დაკავშირების შთაბეჭდილებას და დარგობრივი ცოდნის გაღრმავებისთვის უფრო ეფექტური იქნება სასწავლო კურსის საფუძველზე ორი დამოუკიდებელი საგნის ჩამოყალიბება. აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაცია გაცემულია 2.2. ნაწილში.

სასწავლო კურსების ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შედგენილია დარგის სწავლების დონისა და სფეროს უახლესი კვლევების გათვალისწინებით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა უმეტესწილად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ორი სასწავლო კურსის („კვლევა და სამეცნიერო წერა“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“) სილაბუსები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გადმოტანილია მომიჯნავე დარგის კურიკულუმიდან პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის სფეციფიკის გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, სასწავლო კურსი „კვლევა და სამეცნიერო წერა“ სილაბუსის მიხედვით არჩევითი საგანია, კურიკულუმის მიხედვით კი სავალდებულო. სასწავლო კურსს „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“ სილაბუსის მიხედვით არ აქვს წინაპირობა, კურიკულუმის მიხედვით კი მის წინაპირობად განსაზღვრულია „კვლევა და სამეცნიერო წერა“. ორივე სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით სასწავლო კურსები წარმოადგენს საჯარო მართვის საგნებს. მათ შორის, სასწავლო კურსში „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“ ძირითადი ლიტერატურა შერჩეულია მხოლოდ საჯარო მართვის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც უკვე აღნიშნული ტექნიკური ხარვეზებისგან განსხვავებით, შინაარსობრივი ხარვეზია. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „კვლევა და სამეცნიერო წერა“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“ გახდეს პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის

კურიკულუმზე მორგებული.

სასწავლო კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „სადოქტორო სემინარი I“ სილაბუსების შედეგების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ნაწილები მხოლოდ ღირებულებებზე აკეთებს აქცენტს. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „სადოქტორო სემინარი I“ სილაბუსების შედეგების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ნაწილების ფორმულირება გახდეს სწავლების დონისა და თავად აღნიშნული სილაბუსების შინაარსების შესატყვისი.

მისასალმებელია უსდ-ში დამკვიდრებული არაუნიფიცირებული პრაქტიკა, სადაც ლექტორს თავად შეუძლია განსაზღვროს როგორც საკონტაქტო საათების რაოდენობა, ასევე საგამოცდო საათების რაოდენობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია სილაბუსებში ნათლად იკითხებოდეს თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში როგორ არის გადანაწილებული საკონტაქტო საათები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, გამოცდები და შეფასების სხვა კომპონენტები). გარდა აღნიშნულისა, სილაბუსებში არ არის გამოკვეთილი რამდენი კვირა გრძელდება სასწავლო პროცესი. სილაბუსების თემებისა და აქტივობების ბადის მიხედვით კურსები სხვადასხვა ხანგრძლივობისაა. მათ შორის, სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“ გაწერილია 24 კვირაზე. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში საკონტაქტო საათების რაოდენობა კომპონენტების მიხედვით და სასწავლო კვირეების რაოდენობა იყოს მკაფიო, დათვლადი და უსდ რეგულაციებთან შესაბამისი.

პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება სასწავლო კურსების შედეგებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

დასკვნითი სასწავლო პროექტის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი როგორც პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცედურა, ასევე პროექტის სტრუქტურა. ინტერვიუების პროცესში დადასტურდა, რომ საკვლევი თემის შერჩევისა და საკვლევი შეკითხვის ჩამოყალიბების პროცესში თეორიასთან მიმართება პრიორიტეტი იქნება (პროგრამაში ჯერ არ მომხდარა დასკვნითი სასწავლო პროექტების წარდგენა), თუმცა სასურველია აღნიშნული მოთხოვნა დაფიქსირდეს ჩანაწერის სახითაც. სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტის სტრუქტურის ნაწილის მოთხოვნებში ჩანაწერის სახით აღინიშნოს საკვლევი საკითხის თეორიასთან მიმართების აუცილებლობა.

უსდ-ს გააჩნია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და უზრუნველყოფს შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „კვლევა და სამეცნიერო წერა“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“ გახდეს პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმზე მორგებული.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „სადოქტორო სემინარი I“ სილაბუსების შედეგების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ნაწილების ფორმულირება გახდეს სწავლების დონისა და თავად აღნიშნული სილაბუსების შინაარსების შესატყვისი.
- რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში საკონტაქტო საათების რაოდენობა კომპონენტების მიხედვით და სასწავლო კვირეების რაოდენობა იყოს მკაფიო, დათვლადი და უსდ რეგულაციებთან შესაბამისი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა მიცემისა, პრაქტიკული, კვლევითი შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე. აღსანიშნავია ის, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (მათ შორის პროსპექტუსი, კოლოქვიუმი, სადოქტორო დისერტაცია) მიზანმიმართულია სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებისკენ. რაც შეეხება სასწავლო კურსებს - „პროფესორის ასისტენტობა“, „სავალდებულო სადოქტორო სემინარი“ (ასევე „არჩევითი სადოქტორო სემინარი“), „სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ - ეს კომპონენტები მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების განვითარების თვალსაზრისით.

გარდა კოლოქვიუმის და პროსპექტუსის დაცვისა, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას ასევე წარმოადგენს არანაკლებ ორი საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაცია. იმ შემთხვევაში, თუკი ორივე პუბლიკაცია გამოქვეყნებულია საკონფერენციო მასალებში/შრომების კრებულში (conference proccedings), მინიმუმ ერთ პუბლიკაციაზე სავალდებულოა საერთაშორისო ექსპერტის რეცენზიის წარმოდგენა.

„თვისებრივი კვლევის მეთოდები“, ასევე „კვლევა და სამეცნიერო წერა“ და „რაოდენობრივი მონაცემთა ანალიზის საფუძვლები და სტატისტიკური მიდგომები“

ხელს უწყობს პრაქტიკული/სამეცნიერო უნარების ფორმირებას. ამ კურსების მიზანია დოქტორანტს განუვითაროს ყველა ის პრაქტიკული უნარ-ჩვევა, რაც აუცილებელია საკუთარი ძალებით კვლევის დაგეგმვისთვის, ჩატარებისთვის, შედეგების ინტერპრეტაციისთვის და უკვე ჩატარებული კვლევების შედეგების კრიტიკული ანალიზისთვის.

„პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური საკითხები და მიმდინარე დებატები" სავალდებულო სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სამეცნიერო უნარების ჩამოყალიბებას. მისასალმებელია, ასეთი სასწავლო კურსის დამატება პროგრამაში როგორიცაა „მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება", რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის მეცნიერების, კვლევებისა და განვითარების მართვისა და პოლიტიკის ძირითადი პრინციპების, მეცნიერების მართვისა და შეფასებების ინსტრუმენტების, საგრანტო დაფინანსებისა და კვლევითი პროექტების მომზადების სპეციფიკის გაცნობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები;
- დოქტორანტურის დებულება;
- ჩატარებული ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ექსპერტთა ჯგუფს საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნია სასწავლო კურსი „მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება", რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის მეცნიერების, კვლევებისა და განვითარების მართვისა და პოლიტიკის ძირითადი პრინციპების, მეცნიერების მართვისა და შეფასებების ინსტრუმენტების, საგრანტო დაფინანსებისა და კვლევითი პროექტების მომზადების სპეციფიკის გაცნობას და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგი ფორმულირებულია შემდეგი სახით: „სწავლა/სწავლების უახლესი მეთოდების და სტრატეგიების მცოდნე კვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც სტუდენტებს საკუთარ ცოდნასა და უნარებს გადასცემენ, აქედან გამომდინარე ხელს უწყობენ მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებას და შესაბამისი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ წინსვლაში“.

სალექციო სწავლების გარდა, დოქტორანტების აქტიური ჩართულობის, სამომავლო აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლების პროცესი ითვალისწინებს ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: დისკუსია და დებატები, თანამშრომლობით (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა. პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა დოქტორანტების პრაქტიკულ ჩართულობას, კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას რეფლექსიების, აკადემიური ჩანაწერების, ავტობიოგრაფიული სკეტჩების, პრაქტიკული მაგალითების ანალიზის, პორტფოლიოს მეთოდების გამოყენების საშუალებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროექტით სწავლებას, ურთიერთსწავლებისა და ურთიერთშეფასების გამოყენებას სწავლებაში.

გარდა ჩამოთვლილი მეთოდებისა, პროგრამაში გამოიყენება დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, მოხსენება, დედუქცია-ინდუქცია, როლური თამაშები, სიმულაციები, გონებრივი იერიშის ტექნიკა, შემთხვევების ანალიზი (Case study), პანელური განხილვები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL). ყურადღება მისაქცევია, რომ აღნიშნული მეთოდის (PBL) გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში - „სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები“, აქედან გამომდინარე საჭიროა პროგრამაში აღნიშნული მიდგომის ინტეგრირება სხვა სასწავლო კურსების ფარგლებში. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია სტუდენტების ინდივიდუალური მოთხოვნებიც. მაგალითად, ინკლუზიური განათლების გასაძლიერებლად ჯიპა ჩაერთო ERASMUS+“-ის საგრანტო პროექტში ,,უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)“, რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევების მიმართულებით შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულებისა და პროგრამის შემუშავების გარდა, განხორციელდა სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და სპეციალისტების მომზადება.

ამავე დროს, პროგრამის სასწავლო კომპონენტის ორ სასწავლო კურსში, კერძოდ „სავალდებულო სადოქტორო სემინარი I“ და „არჩევითი სადოქტორო სემინარი II“, უნდა დაზუსტდეს სწავლება-სწავლის მეთოდები სწავლის შედეგების გაზომვადობისა და მიღწევადობისთვის.

აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაკლებად გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიშის ტექნიკა, კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და ა.შ., რომლებიც მეტად შეესაბამება სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები;
- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ERASMUS+“-ის საგრანტო პროექტში ,,უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)“;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მომიჯნავე

პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „სავალდებულო სადოქტორო სემინარი I“ და „არჩევითი სადოქტორო სემინარი II“ დაზუსტდეს სწავლება-სწავლის მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევადობისა და გაზომვადობისთვის. • რეკომენდებულია, სილაბუსებში აქცენტი გაკეთდეს სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამის და რეფლექსიის, კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ისეთ სწავლა-სწავლების მეთოდებზე, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიშის ტექნიკა და სხვ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაში, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე სასწავლო კომპონენტში ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 შესაბამისად. სადოქტორო პროგრამის თითოეული სასწავლო სილაბუსი გულისხმობს სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებით. მათი ჯამით სტუდენტს ენიჭება საბოლოო შეფასება მაქსიმუმ 100 ქულის ოდენობით. პროგრამაში გათვალისწინებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ტესტი, პრეზენტაცია, დისკუსია, ესე, სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული დავალებები და სხვა. ქულათა დეტალური განშლა მოცემულია პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ სილაბუსში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების შემთხვევაში. პროგრამის შეფასების სისტემა უშვებს ხუთ დადებით და ორ უარყოფით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, შეფასების გაუმჯობესებისთვის, სტუდენტს ენიშნება დამატებითი გამოცდა.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ზოგადი პოლიტიკით, მათ შორის, სადოქტორო სწავლების საფეხურზე, შეფასების კომპონენტებში გათვალისწინებულია დასწრება-აქტივობის კომპონენტი. თუკი სტუდენტი სემესტრის მანძილზე არ დაესწრება სააუდიტორიო მეცადინეობების 33%-ზე მეტს, მას კურსი ავტომატურად განულებულად ეთვლება და იძულებული ხდება დამატებითი გადასახადის გადახდის შემდეგ (გადასახადი დგინდება კურსის განმავლობაში მისანიჭებელი კრედიტების შესაბამისად), მეორედ გაიაროს შესაბამისი კურსი.

აღნიშნული N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით:

“შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის".

ასევე აღნიშნული ბრძანების მიხედვით:

"კ) შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.),

ლ)შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);“

აღნიშნული ბრძანების შინაარსის შესაბამისად, აუდიტორიულ მეცადინეობებზე "დასწრება", ვერ იქნება შეფასების კომპონენტი ან მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს შეეზღუდება კრედიტის მინიჭება. კრედიტის მინიჭება დამოკიდებული უნდა იყოს მრავალკომპონენტიან შეფასების სისტემაზე (სასემინარო აქტივობები, დავალებები, შუალედური და ფინალური გამოცდების ქულების ჯამი), რომელიც შეაფასებს სტუდენტის ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს. შესაბამისად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს უშუალოდ სემინარზე დასწრების კომპონენტი. თუ უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ვერ დაიფარება სტუდენტთა დასწრების გარეშე, შესაძლებელია შუასემესტრულ აქტივობებს ჰქონდეს მინიმალური

კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც სასემინარო აქტივობებში ჩართულობის გარეშე სტუდენტი ვერ გადალახავს (თუ არ ივლის ვერ იაქტიურებს, დისკუსიაში ვერ ჩაერთვება და ა.შ) რაც ლექცია-სემინარების გაცდენის პრევენციას მოახდენს.

უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ ბაზას lmb.gipa.ge. ბაზაში ყველა სტუდენტს აქვს საკუთარი გვერდი და შესაძლებლობა, გაეცნოს თავის აკადემიურ მიღწევებს, აკონტროლოს ფინანსური მდგომარეობა და სხვა.

გარდა სასწავლო კურსებისა, პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა მოიცავს, ასევე, პროფესორის ასისტენტობას და სავალდებულო და არჩევით სადოქტორო სემინარებს.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს აკადემიურ პროცესში ჩართულობას და ფასდება შემდეგნაირი განაწილებით: შუალედურ შეფასება (70 ქულა) და დასკვნითი შეფასება (30 ქულა), რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). დოქტორანტის პროფესორის ასისტენტობის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტებია: მეცადინეობების - სემინარების, პრაქტიკუმების და ა.შ. ჩატარება - 20%, შუალედური/დასკვნითი გამოცდის საკითხების, დავალებების მომზადება, ნაშრომების გასწორება - 30%, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების კვლევის თანახელმძღვანელობა/რეცენზირება - 20%. შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50%, შესაბამისად, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი შეადგენს 35 ქულას. პროფესორის ასისტენტობის დასკვნითი შეფასების კომპონენტია სავალდებულო საჩვენებელი ლექციის ჩატარება, რომელიც ფასდება 30 ქულით. დასკვნით კომპონენტზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შუალედური შეფასებით მიღებული აქვს მინიმუმ 35 ქულა. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი შეადგენს 15 ქულას. დოქტორანტს პროფესორის ასისტენტობის კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

დოქტორანტის სავალდებულო და არჩევითი სემინარის სილაბუსის მიხედვით, სემესტრის დასაწყისში კურსის ხელმძღვანელი არჩევს საკვლევ საკითხებს და მოსამზადებლად უნაწილებს დოქტორანტებს. ნაშრომის შეფასება ორ კომპონენტად იყოფა, 60 ქულას ანიჭებს ხელმძღვანელი, ხოლო 40 ქულას დარგობრივი კომისია, პრეზენტაციის მოსმენის შემდეგ.

რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომს, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტმა დაიცვას პროსპექტუსი და კოლოქვიუმი, საბოლოო ნაშრომის დაცვამდე. პროსპექტუსის დაცვაზე დოქტორანტი დარგობრივ საბჭოს წარუდგენს საკვლევ თემას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. პროსპექტუსი დაცულად ჩაითვლება თუ კომისიის ყველა წევრი დაადასტურებს მის შესაბამისობას. დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებული ხდება თავიდან წარმოადგინოს საკვლევი გეგმა. დოქტორანტი იგივე პროცედურას გადის შუალედური კოლოქვიუმის წარმოდგენის დროსაც.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, საჯაროდ წარმოდგენის შემდეგ სადისერტაციო კომისიის მიერ. საჯარო დაცვამდე ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემდეგ დისერტაცია მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამის საშუალებით და შემდეგ გადაეცემა რეცენზენტებს, რომელთაგან ერთი არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. რეცენზენტების დადებითი შეფასების წარმოდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო აკომპლექტებს სადისერტაციო კომისიას

არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. სადისერტაციო კომისიის წევრი სავალდებულოა ფლობდეს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (ან მასთან გათანაბრებულს).

დისერტაცია ფასდება წინასწარ განსაზღვრული კომპონენტების გათვალისწინებით:

- *დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი სადისერტაციო თემის აქტუალობის და სიახლის გათვალისწინებით;*
- *სადისერტაციო ნაშრომის თანმიმდევრულობა, სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებსა და შედეგებს შორის; კვლევის მეთოდოლოგიური გამართულობა, ინოვაციურობა და სამეცნიერო ეთიკის სტანდარტების დაცვა; კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი;*
- *საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი;*
- *დისერტაციის გაფორმების (მათ შორის მითითების/ციტირების) სათანადო წესის/წესების დაცვა;*
- *სადისერტაციო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის/პრობლემების წარმოჩენა;*
- *პრეზენტაციის შინაარსის და სტრუქტურის გამართულობა პრეზენტაციის ვიზუალური და ტექნიკური გამართულობა (მათ შორის ცხრილებისა და გრაფიკების);*
- *დისკუსია დაცვის პროცესში დასმულ კითხვებზე ადეკვატური და დასაბუთებული პასუხების გაცემა.*

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- დოქტორანტურის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- ონლაინ ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს უშუალოდ სემინარზე დასწრების კომპონენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა ახალია. შესაბამისად, ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ამავე უნივერსიტეტის მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რათა შექმნილიყო ერთიანი წარმოდგენა სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სწავლის შედეგების გაუმჯობესების პროცესში ჩართულობის და ყველა იმ სერვისზე, რასაც უნივერსიტეტი სთავაზობს პროგრამის სტუდენტებს. უნივერსიტეტში დანერგილია და გამართულად ფუნქციონირებს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული სერვისები. ინტერვიუების საფუძველზე, ასევე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სადოქტორო პროგრამის სტუდენტები უწყვეტ რეჟიმში მიიღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების, საერთაშორისო/ადგილობრივი კონფერენციების, აკადემიური და ადმინისტრაციული სიახლეების შესახებ.

უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტურ ბაზას lmb.gipa.ge, რომლის მეშვეობითაც, დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ თვალი ადევნონ ინფორმაციას საკუთარი აკადემიურ მდგომარეობის შესახებ. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან მუდმივად იღებენ უკუკავშირს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კონკრეტულ სასწავლო კურსებში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, უნივერსიტეტი ასევე იყენებს სხვადასხვა თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებსაც. ინფორმაცია მუდმივად ახლდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და სტუდენტებს სიახლეები ეგზავნებათ მეილის საშუალებითაც.

სერვისების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ პროგრამას ჰყავს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული ხელმძღვანელი. რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ყოველდღიურ საქმიანობისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე. მის მოვალეობაში შედის ახლად ჩარიცხული დოქტორანტებისთვის საკონსულტაციო/საორიენტაციო შეხვედრების გამართვა, ინდივიდუალური სასწავლო/კვლევითი გეგმის შემუშავების პროცესში დახმარება,

დოქტორანტებისთვის ხელის შეწყობა აკადემიურ პერსონალთან კოორდინაციისთვის, სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალების, დოკუმენტების მოწესრიგებაში ხელშეწყობა და სხვა. ასევე, სტუდენტებთან საუბრის დროს გაირკვა, რომ ადმინისტრაციული ხელმძღვანელი აქტიურად ეხმარება დოქტორანტებს გაცვლით პროგრამებში ჩართვაში და ყველა საჭირო დოკუმენტის მომზადებაში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს სტუდენტთა საკონსულტაციო საათები, პროფესორები როგორც ჯგუფურად, ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად ხვდებიან დოქტორანტებს და უწევენ კონსულტირებას მათთვის საჭირო საკითხების ირგვლივ.

უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის ბოლოს სპეციალური კითხვარების მეშვეობით ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს.

GIPA-ში არსებობს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ცენტრის პროფესიონალი კადრების კონსულტაციებით. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი მუდმივად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მათთვის საინტერესო ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამებისა ან/და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების შესახებ მეილების საშუალებით.

ონლაინ ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელსა და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორს. მათთან გასაუბრების და უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაკვირვებით ნათელია, რომ უნივერსიტეტს აქვს გამართული საბიბლიოთეკო რესურსები, შეძენილი აქვს სამეცნიერო ბაზები და ყველა ამ რესურსზე წვდომა სტუდენტს დისტანციურადაც შეუძლია.

უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს დოქტორანტთა ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში. ამ შედეგის მისაღწევად, სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს თითოეული დოქტორანტის ვალდებულებას რუსთაველის ფონდში შეიტანონ კვლევითი პროექტი. ეს კომპონენტი სტუდენტს აძლევს სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის პროცედურების ცოდნის გამოცდილებას და ამაღლებს სტუდენტის კვლევით პროექტებში ჩართულობის მოტივაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პარტნიორი ინსტიტუციების მემორანდუმები;
- ვიზიტის პროცესში მიმდინარე ინტერვიუები;
- <u>უნივერსიტეტის ვებ-გვერდი</u>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში დოქტორანტთა ხელმძღვანელობისა და სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებულ დეტალების შესახებ პროცედურებს არეგულირებს უნივერსიტეტში შემუშავებული სადოქტორო დებულება. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღწერილია მეცნიერ-ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობით დოკუმენტშიც.

დოქტორანტის ხელმძღვანელი ინიშნება საკვლევი თემის შინაარსის გათვალისწინებით. აუცილებელია მას ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, ასევე კვლევითი საქმიანობის არანაკლებ ექვს წლიანი გამოცდილება; დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, პოლიტიკის მეცნიერებების ან მომიჯნავე დარგში; აკმაყოფილებდეს უცხო ენის კომპეტენციას და ჰქონდეს აუცილებელი კომპიუტერული პროგრამების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. დოქტორანტს შეუძლია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს (ადგილობრივი ან უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ცენტრის თანამშრომელი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის აუცილებლობა, სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის გამოცდილება).

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან უნივერსიტეტი აფორმებს ხელშეკრულებას. ხელმძღვანელი ვალდებულებას იღებს ჩაერთოს დოქტორანტის

კვლევით პროცესში, გაუწიოს მას რეგულარული კონსულტაცია, დაეხმაროს კვლევის დიზაინის და მეთოდების შერჩევაში, ლიტერატურის მოძიებაში ან მოძიებული ლიტერატურის ვალიდურობის დადგენაში, დაეხმაროს პუბლიკაციების გამოქვეყნებაში, უხელმძღვანელოს პროსპექტუსის და კოლოქვიუმის შესრულების დროს და სხვა. დებულების მიხედვით, დოქტორანტის ხელმძღვანელი ასევე ვალდებულია ყოველ ექვს თვეში წარუდგინოს პროგრამის ხელმძღვანელს დოქტორანტთან გაწეული სამუშაოს აღწერილობითი შეფასება. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პოლიტიკის თანახმად, მეცნიერ ხელმძღვანელი უფლებამოსილია აკადემიური წლის განმავლობაში უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირად საქმეებზე დაყრდნობით, იკვეთება რომ პროგრამა დაკომპლექტებულია დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით. შესაბამისად, ისინი დოქტორანტთან ერთად საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობას მაღალი ხარისხით და სტანდარტების დაცვით შეძლებენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • დოქტორანტურის დებულება; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

			მოთხოვნებთან	ნ
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი შედგება 19 წევრისაგან (16 აკადემიური პერსონალი, ყველა აფილირებული სტატუსით - 7 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 3 მოწვეული პერსონალი). აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ გამოგზავნილი პირადი საქმეები მოიცავს სრულყოფილ მონაცემებს მათი პროფესიული გამოცდილების თაობაზე. აკადემიური პერსონალის გუნდი დაკომპლექტებულია უმეტესწილად სპეციალისტებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, სოციალური მეცნიერებები, ისტორია და სახელმწიფო მართვა - აქედან გამომდინარე, მათი კვალიფიკაცია რელევანტურია დარგისთვის და განსახორციელებელი სასწავლო კურსების შინაარსისთვის. საერთო ჯამში, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევითი

და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის შედეგების მიღწევას, მის წარმატებულ ფუნქციონირებას და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. გასაუბრებების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა პროგრამის ხელმძღვანელის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ არსებული პროგრამა ახალია და ჯერ არ გააჩნია აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილება იმისათვის, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს მაღალი ხარისხის და მეთოდოლოგიურად დახვეწილი კვლევის ჩატარებას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობაა 13. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს და უდასტურდება სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის გამოცდილება. შესაძლებელია დოქტორანტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც წარმოადგენს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ცენტრის თანამშრომელს, ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და უდასტურდება სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის გამოცდილება. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ ყოველწლიური მიღება პროგრამაზე თვალისწინებს 10 ვაკანტურ ადგილს, რაც მოითხოვს დამატებით დატვირთვას პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისთვის. შესაბამისად, სადოქტორო მისაღები სტუდენტების კონტინგენტიდან გამომდინარე, სასურველია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში ამ გარემოების გათვალისწინება, რათა მოხდეს დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარების ადეკვატური უზრუნველყოფა.

გასაუბრებების დროს პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელის მიერ ამომწურავი ინფორმაცია იქნა მოწოდებული დოქტორანტურაში სწავლისა და სადისერტაციო კვლევის სამუშაო პროცესის შესახებ. პროცესისა და პროცედურების ეფექტურობა ასევე დადასტურდა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად. სადოქტორო საფეხურზე პერსონალის და მომავალი სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე ცხადია, რომ ამ ეტაპზე პროგრამის სტუდენტები დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2018 წელი);
- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან სესიების ფარგლებში;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა - შაბლონი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადოქტორო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების კონტინგენტიდან გამომდინარე, სასურველია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში ამ გარემოების გათვალისწინება, რათა მოხდეს დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარების ადეკვატური უზრუნველყოფა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების პროცესში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება რეგულარულად უსდ-ს მიერ. შეფასების მექნიზმები დეტალურად აღწერილია პერსონალის მართვის წესების დოკუმენტში (2018 წლის) და გულისხმობს სხვადასხვა პოზიციის თანამშრომლების საქმიანობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას, რომელიც ხორციელდება წელიწადში ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება რამდენიმე კომპონენტი, როგორიცაა საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა; ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობა; გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ორგანიზაციებში; ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა; უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრში დაგეგმილ სასწავლო კურსებში ჩართულობა და სხვა.

ჯიპა-ს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების ინიცირება ხდება მისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცესიც. ინტერვიუების პროცესში დადასტურდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროცედურის შესახებ ინფორმირების მაღალი დონე.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს 2012-2018 წლების პერსონალის საქმიანობის ანგარიშს, ასევე 2018 წლიდან დღემდე ანგარიშს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევების დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელთან შედგა გასაუბრება აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის ერთ-ერთი სესიის ფარგლებში. თვითშეფასების და პერსონალის საქმიანობის ანგარიშებში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კვლევების დეპარტამენტის დაარსების შემდეგ უნივერსიტეტის მასშტაბით აღინიშნება საგრანტო დაფინანსების ზრდა (2020 წელი), სამოგზაურო გრანტების უზრუნველყოფის გაუმჯობესებული მაჩვენებლი (7.000 ლარი თითო სკოლის შემთხვევაში).

უნივერსიტეტში ხორციელდება შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ინიციატივით, ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტების განვითარებისა და სოციალურ მეცნიერებათა პრობლემური საკითხების ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტმა საუნივერსიტეტო შიდა საგრანტო დაფინანსების მხარდაჭერის აუცილებელ კრიტერიუმად კვლევების ინტერდისციპლინარული ხასიათი განსაზღვრა. აღნიშნული მექანიზმი უდაოდ წაახალისებს სკოლებს შორის თანამშრომლობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შიდა კვლევით პროექტებში უსდ-ს მიერ სადოქტორო პროგრამის სტუდენტების ჩართულობის წახალისება (მაგალითად, რუსთაველის ფონდის წარმატებული სტიპენდიანტების შემთხვევაში), რაც ხელს უწყობს მათი კვლევითი უნარების დახვეწას. პანდემიის პირობებში პერსონალის სამოგზაურო გრანტებისთვის გათვალისწინებული თანხები გამოყენებულ იქნა სამეცნიერო კონფერენციებში სარეგისტრაციო ხარჯების დასაფარად.

მნიშვნელოვანია, რომ წელიწადში ორჯერ უნივერსიტეტის აკადემემიურ პერსონალს შეუძლია განაცხადი შეიტანონ და მონაწილეობა მიიღონ ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნის კონკურსში (ყოველწლიურად ფინანსდება 3 პროექტი).

კვლევების დეპარტამენტის გარდა, უნივერსიტეტში დაარსდა პოლიტიკის შეფასების ცენტრი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ანალიტიკური დოკუმენტაციის ხარისხის გაუმჯობესებას უნივერსიტეტისთვის სხვადასხვა რელევანტურ დარგში.

უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ტრენინგებში, რომლის ორგანიზებას და კოორდინირებას უზრუნველყოფს Teaching Excellence Center. ღონისძიებების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია თვითშეფასების ანგარიშში.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ ინგლისურენოვან რეფერირებად სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალში „Journal of Politics and Democratization“ -http://jpd.gipa.ge/ (E-ISSN 24492671), რომელიც შეიქმნა შეერთებული შტატების ტროის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე (ერთობლივი სარედაქციო კოლეგია).

მისასალმებელია, რომ 2021 წლიდან აშშ-ის საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა

განყოფილების მიერ გამოცხადებული ამერიკელი ავტორების წიგნის თარგმნის პროგრამის კონკურსში უსდ პერსონალის მონაწილეობის მხარდასაჭერად უნივერსიტეტმა გამოყო ყოველწლიური დაფინანსება 15 ათასი ლარის ოდენობით (აშშ საელჩოს აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს თანადაფინანსებას). აღსანიშნავია, რომ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის შემთხვევაში დაფინანსდა კვლევითი პროექტი სახელწოდებით „COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციისადმი დამოკიდებულების ფსიქოლოგიური და სოციო-დემოგრაფიული პრედიქტორები“. ასევე, უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ KA2 პროგრამაში, რომლის მიზანია უნივერსიტეტების კვლევითი სამსახურების მოდერნიზაცია, კვლევითი პოტენციალისა და კვლევების ხარისხის გაზრდა, სწავლებისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება ინსტიტუციურ დონეზე. განხორციელებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სოციალურ მეცნიერებათა სკოლას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა და მექანიზმები. მიუხედავად აღნიშნულისა, სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროექტის აღწერა Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვოს სქემის შაბლონი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; • აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმა; • პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება 2018-დღემდე; • პერსონალის საქმიანობის შეფასება 2012- 2018 წლები; • ბრძანება დოქტორანტი თანამშრომლის დაფინანსებაზე; • სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სკოლის და უნივერსიტეტის • ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ონლაინ ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ექსპერტთა ჯგუფს საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს კვლევის შედეგები გამოაქვეყნოს ინგლისურენოვან რეფერირებად სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალში „Journal of Politics and Democratization“, რომელიც

შეიქმნა შეერთებული შტატების ტროის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი სარედაქციო კოლეგიის პირობებში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან, პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გამო, პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Zoom პლატფორმის) მეშვეობით, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მატერიალური რესურსის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან დადგინდა ჩატარებული ინტერვიურების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაიგეგმა ვირტუალური ტურის მეშვეობით, ხოლო უნივერსიტეტის მიერ საბიბლიოთეკო ფონდის და ელექტრონული ბაზების უზრუნველყოფა შეფასებულ იქნა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელთან და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორთან გასაუბრების ფარგლებში. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამისათვის აუცილებელი საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობა - სახელმძღვანელოები ქართულ და უცხოურ ენებზე და რიდერები, რომელთა მოძიება შესაძლებელია ონლაინ-კატალოგით. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო ერთიანი ელექტრონული სისტემა LMB, სადაც იტვირთება სასწავლო მასალები, სილაბუსები და შეფასებები. ასევე, უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურის ფონდის აღრიცხვა და შენახვა ხდება პროგრამა KOHA-ს მიერ. მნიშვნელოვანია, რომ ერასმუს + პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტმა შეიძინა პლაგიატის შემოწმების წამყვანი პროგრამა TURNITIN, რომელსაც ჯიპა აქტიურად იყენებს არსებული პროგრამების ფარგლებში აკადემიური სტანდარტების დაცვის და შემოწმების მიზნით. მისასალმებელია სწავლის პროცესში აუცილებელი მასალების თარგმნის პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფილია სკოლის ბიუჯეტით. ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს (როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეულს) აქვს საშუალება მათთვის ნებისმიერი ლიტერატურა შეუკვეთონ.

ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის ქსელში და აქვს წვდომა სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e- Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e- books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Open edition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბილიოთეკო ფონდთან და ონლაინ ბაზებთან დისტანციურ რეჟიმშიც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბიბლიოთეკა სრულყოფილადაა გამართული ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით (მაგიდები, სკამები, კარადები, კომპიუტერები და ა.შ.). გასაუბრებების პროცესში დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილია სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი ნივთებითა და ტექნიკით.

შენობა-ნაგებობის შესახებ, რომელშიც ხორციელდება პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა, უნივერსიტეტმა წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით (კომპიუტერები, ლეპტოპები; პროექტორები), რომელიც აქტიურად გამოიყენება ლექციების მიმდინარეობისას. წესრიგშია საევაკუაციო სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების/შემოწმების სესიის ფარგლებში;
- შენობა-ნაგებობის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელთან და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორთან;
- პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, შესაბამისად ორგანიზაციის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება. პროგრამის აკრედიტაციისთვის გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ჯამურ ინფორმაციას სავარაუდო შემოსავლისა და ხარჯის შესახებ (2021-2022, 2022-2023 და 2023-2024 აკადემიური წლები). ყოველწლიური ხარჯების ყველაზე მსხვილი თანხა განკუთვნილია შრომის ანაზღაურებისთვის (ჯამური თანხის 42,8% პირველ წელს, შემდეგ წლებში ეს თანხა იზრდება 10%-ით). დარჩენილი თანხა გათვალისწინებულია კვლევების და კონფერენციებისთვის (ყოველწლიურად 8,000 ლარის ოდენობით), ასევე პროგრამის ლიტერატურით და საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფისთვის. უნივერსიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველი თანამშრომლებისთვის შეთავაზებულია 75%-იანი სწავლის გადასახადის დაფინანსება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგრადობა მიღწევადია 10 სტუდენტის ყოველწლიური მიღების შემთხვევაში (სწავლის საფასური - 2800 ლარი). სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანთან გასაუბრების პროცესში აღინიშნა, რომ ნაკლები სტუდენტის მიღების შემთხვევაში პროგრამის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოხდება სკოლის და უნივერსიტეტის ბიუჯეტის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა მილევად რეჟიმში გადადის და იგეგმება პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე იმ სტუდენტების გადაყვანა, რომლებიც კვლევას ახორციელებენ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით. მიუხედავად აღნიშნულისა, რადგან პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა დაფუძნებულია თვითდაფინანსების პრინციპზე, სასურველია შემდეგი აკადემიური წლების ბიუჯეტის დაგეგმვის დროს დაზუსტდეს მისაღები სტუდენტების რაოდენობა რეალურ მონაცემებზე დაფუძნებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუები მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების/შემოწმების სესიის ფარგლებში; • შენობა-ნაგებობის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი - იეთიმ გურჯის შენობა, გორგასლის შენობა (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან); • ინტერვიუ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაციასთან და IT დეპარტამენტის წარმომადგენლებთან; • პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, შემდეგი აკადემიური წლების ბიუჯეტის დაგეგმვის დროს დაზუსტდეს მისაღები სტუდენტების რაოდენობის რეალურ მონაცემებზე დაფუძნებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". უსდ-ში გამოყენებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ხარისხის სახელმძღვანელო. აღნიშნულ დოკუმენტში თავმოყრილია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნები.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას. სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები. უსდ-ს ასევე დანერგილი აქვს ჯვარედინი შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლების, სკოლების პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ ერთმანეთის სასწავლო პროგრამების შეფასებას, რაც ნამდვილად მისასალმებელი პრაქტიკაა და ხელს უწყობს შეფასების პროცესის შემდგომ განვითარებას კოლეგიალური შეფასების ფარგლებში.

როგორც ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დოკუმენტებმა ცხადყო, უსდ პროგრამის განვითარებისა და განხორციელების პროცესში იყენებს სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს.

პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. ხოლო, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

ინტერვიუების პროცესში თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გამოკვეთა გარკვეულწილად პროცედურების არათანმიმდევრულობა, ფორმალიზაციის ნაკლებობა, სილაბუსების განვითარებისა და ტექნიკური დახვეწის საჭიროება, შესაბამისად რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს ფორმალური მექანიზმების არსებობით და აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის განხორციელების შეფასებისას გაკეთებული რეკომენდაციები პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები გამოიყენება ცვლილებების განხორციელებისა და სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის ფარგლებში, სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსებისა და სილაბუსის სხვადასხვა კომპონენტების ფორმირების საკითხებზე, მათ შორის კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდების მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზი • გამოკითხვის შედეგები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს ფორმალური მექანიზმების არსებობით და აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსებისა და სილაბუსის სხვადასხვა კომპონენტების ფორმირების საკითხებზე, მათ შორის კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდების მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას. პროგრამის გარე ექსპერტიზა განხორციელდა როგორც დარგობრივი შესაბამისობის, ასევე სააკრედიტაციო პაკეტის შესაბამისობის გათვალისწინებით. პროგრამაზე თანდართული დოკუმენტებისა და ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოიკვეთა პროგრამაში გარე შეფასების კომპონენტების გათვალისწინების მნიშვნელობა. ვინაიდან პროგრამა ახალია, ინსტიტუცია გამოხატავს მზაობას გაითვალისწინოს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერება
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვების ანალიზი
- გამოკითხვის შედეგები
- გარე ექსპერტთა შეფასებები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას (აკადემიური, მოწვეული პერსონალის, მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით. შეხვედრები და კონსულტაციები მიმდინარეობს ძირითადად მრგვალი მაგიდის ფორმატით და ითვალისწინებს ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარის ჩართულობას. გარდა ამისა, ტარდება გამოკითხვები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. სასწავლო პროცესის მონიტორინგი დადგენილი წესით გულისხმობს სტუდენტთა და ლექტორთა შეფასებას, კოლეგიალურ შეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პერსონალთან მუდმივ უკუკავშირსა და შეხვედრებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სისტემატიურ მონიტორინგს შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით პროგრამის ხელმძღვანელსა და კოორდინატორთან ერთად. პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. აღნიშნული შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, შრომის ბაზრის კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მხედველობაში მიიღება რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება ადგილობრივი ანალოგი პროგრამების შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოკვლეულ იქნა 4 ადგილობრივი (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი) და 3 საერთაშორისო უნივერსიტეტის (EUI, University of London, American University in Washington) გამოცდილება პოლიტიკური მეცნიერების პროგრამებთან მიმართებით. საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ დონეზე პროგრამა გამოირჩევა კვლევის მეთოდოლოგიის ძლიერი

კომპონენტებითა და მრავალფეროვნებით, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებებით და მეცნიერების მენეჯმენტის, ფონდების მოძიებისა და სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაციის კუთხით დოქტორანტის მომზადებით; კვლევის კომპონენტის გაძლიერება გახლავთ გაზიარებული საერთაშორისო პრაქტიკა, ისევე როგორც კურიკულუმის გაძლიერება დარგობრივი სპეცკურსითა და სამეცნიერო წერის კომპონენტით. დარგობრივი განმავითარებელი შეფასების ფარგლებში პროგრამა გაეგზავნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ხოლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის შესაბამისობის კუთხით - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელს. დარგობრივი ექსპერტის შეფასებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება სადოქტორო საფეხურის სტანდარტებს, ასევე ხაზგასმულია კვლევითი და გამოყენებითი უნარების გამომუშავების შესაძლებლობა და ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერება • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვების ანალიზი • გამოკითხვის შედეგები • გარე ექსპერტთა შეფასება • ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი • საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა, დონე 8

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ივანნა მაჩიტიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თეონა კუპრაძე